5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
**5.2** შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება წინასწარი ჩარიცხვის წესით, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**6.1.1** შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
– მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
**6.1.2** შემსყიდველი ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
**6.2.1** მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების **5.2.** პუნქტის შესაბამისად.
**6.2.2** მიმწოდებელი ვალდებულია:
– მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

**7.1** მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
**7.2** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების 0,1%-ის ოდენობით.
**7.3** საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

**8.1** ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2013 წლის 30 აპრილის** ჩათვლით.
**8.2** წინამდებარე ხეშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხეშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
**8.3** ფასების ცვლილებების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებებს.

## 9.ფორს-მაჟორი

**9.1** მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: ომი, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებები, დივერსიები, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ხანძარი და სხვა გარემოებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
**9.2** მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

**10.1** მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაჭრან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით.
**10.2** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. სხვა პირობები

# ხელშეკრულება № 22
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი "20" მარტი 2013 წელი

ერთის მხრივ შპს „Goderdzi Resorts" (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის ***ვაჟა დიასამიძის*** სახით და მეორეს მხრივ შპს „ახალი მთვარე"- (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ზაზა ნიორაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერების შეძენა (CPV კოდი: 44600000):

| № | დასახელება | რაოდენობა | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | გათბობის ქვაბი ACK 2-100 CELIK KAZAN | 1 | 2400 | შემდგომში „საქონელი" |
| 2 | საფართოებელი ავზი 100 LT 10 Bar | 1 | 200 | შემდგომში „საქონელი" |
| 3 | ტუმბო NCP AL 4/70 | 1 | 400 | შემდგომში „საქონელი" |
| | სულ | | 3000 | |

1.2 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ჩაბარების ბოლო ვადა განისაზღვროს 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3 000,00 (სამი ათასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებელის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფინანსების თავისებურებათა გათვალისწინებით.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

**3.1** მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

**4.1** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია თბილისი, წერეთლის 126

**4.2** შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები (შემსყიდველის მხრიდან შპს „Goderdzi Resorts"-ის დირექტორი ვ. დიასამიძე)

## 5. ანგარიშსწორების ფორმა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.
11.4 წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.
11.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.
11.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## *15. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები*

<u>შემსყიდველი:</u>
შპს „**Goderdzi Resorts**“

დირექტორი
ვაჟა დიასამიძე

---------------------------------------

სს „თი-ბი-სი“ ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE12TB7015036080100001

მის: ქ.ბათუმი, კომახიძის ქ № 119
ს/კ: 245629388
ტელ: 577 74 20 11

<u>მიმწოდებელი:</u>
შპს "ახალი მთვარე"

დირექტორი
ზ.ნიორაძე

---------------------------------------

სს „საქართველოს ბანკი “
ბანკის კოდი
ა/ა GE84BG0000000146378700

მის: თბილისი, წერეთლის 126
ს/კ 202218698
ტელ: 595 295 195